თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №27

ქ. თბილისი 2018 წელი, 11 სექტემბერი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ზექა დავითულიანი, დავით უთმელიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი,გოჩა თევდორაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: დავით უჯმაჯურიძე, თევდორე ისაკაძე, გიორგი გაბაშვილი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ზექა მიქაუტაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი
ეკა ცეცხლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
მირანდა ბერძენიშვილი - ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12- 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით (#12-031822979-03)

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   12-031823665-03 – ,,ლისის ტბის ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე ტერიტორიაზე მოქმედ შეზღუდვებში ცვლილება

(1) ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, N143 (ნაკვეთი N6/25); ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, N143 (ნაკვეთი N6/26) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.11.01.006.025; 01.11.01.006.091 საერთო ფართობი: 3,203 კვ.მ)); სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება;

(2) თბილისში, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა, N 61 / ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) ნაწილზე (ფართობი: 1005 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სატრასპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით (#12-031822976-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12- 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით (#12-031822979-03)

საკითხი წარმოადგინა გლდანის გამგებელმა ბატონმა ბექა მიქაუტაძემ. მისი თქმით, ცვლილება შედის ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის” განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებაში და იმავე დადგენილებით განსაზღვრული

ინფრასტრუქტურული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, დასაფინანსებელი სამუშაოების ჩამონათვალს ემატება ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების მომსახურების დაფინანსების უფლებამოსილება. აღნიშნულს გამგეობა განახორციელებს ან სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით. აღნიშნული მომსახურების შესყიდვა აუცილებელია ინფრასტრუქტურული პროექტების სრულყოფილად განხორციელებისა და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების რაციონალურად და ეფექტიანი განკარგვისათვის.

პროექტის თანახმად, დადგენილებით განსაზღვრული დასაფინანსებელი სამუშაოების ჩამონათვალიდან, შენობის ან/და მისი შემადგენელი ნაწილების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოებისჩატარებასთან დაკავშირებით,ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი - 4 სართულამდე შენობის ან/ და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოებისთვის გამგეობისგან დაფინანსების მისაღებად ამხანაგობამ საკუთარ ანგარიშზე უნდა განათავსოს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობა: 5% - 100 000 ლარამდე და 3% - 100 000 ლარზე მეტი ღირებულების გამაგრებითი სამუშაოების შემთხვევაში. ვინაიდან მითითებული სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია ძვირადღირებულ მომსახურებასთან, რომლის ღირებულების 10 პროცენტის(დადგენილების თანახმად) საკუთარ ანგარიშზე განთავსების შესაძლებლობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს გარკვეულ შემთხვევებში არ გააჩნიათ, შესაბამისად, იმისათვის, რომ გამგეობებმა შეძლონ დაზიანებული შენობების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, მიზანშეწონილია,განხორციელდეს აღნიშნული დამატება, რომელიც შეამცირებს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულებისაუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობას.

ასევე, მიზანშეწონილია, საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ამხანაგობის ანგარიშზე ასახვის ვალდებულებასთან ერთად, განისაზღვროს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გამგეობაში წარმოდგენისვადაც, ვინაიდან მოხდეს საქმისწარმოებისათვის საჭირო ვადების კონტროლი და პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების დროული და პროდუქტიული გამოყენება.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით გამგეობისსაქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას, რაც დადებით გავლენას მოახდენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **№20-105** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   12-031823665-03 – ,,ლისის ტბის ჩარჩო გეგმის“ შემუშავებამდე ტერიტორიაზე მოქმედ შეზღუდვებში ცვლილება

   12-031823663-03

   1. ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, **N143** (ნაკვეთი **N6/25**); ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, **N143** (ნაკვეთი **N6/26**) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **01.11.01.006.025; 01.11.01.006.091** საერთო ფართობი: **3,203** კვ.მ)); სატრანსპორტო ზონა **1**-ის (ტზ-**1**) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა **2**-ის (სსზ-**2**) სამრეწველო ზონა **1**-ით (ს-**1**) ცვლილება;

   2. თბილისში, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა, N 61 / ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) ნაწილზე (ფართობი: 1005 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სატრასპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ ა/წლის 24 აგვისტოს წარმოდგენილი #12-031823665-03 და #12-031823663-03 საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ეკა ცეცხლაძემ და მარიამ თავაძემ.

მარიამ თავაძემ წარმოადგინა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის“ შემუშავებასთან დაკავშირებით დამატებითი ცვლილებები. მისი თქმით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია დედაქალაქის ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაზრდილია განაშენიანებაზე მოთხოვნა.

აუცილებელია სწორი ქალაქგეგმარებითი მიდგომის ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტის და ჯანსაღი სარეკრეაციო გარემოს შენარჩუნება, ასევე მშენებლობებისათვის დასაშვები პარამეტრების და პირობების განსაზღვრა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ შესაბამისი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეზღუდულია: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვა; ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითიდავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება; გ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა; დ) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით; ე) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა); აღნიშნული ცვლილებით ფართოვდება ამგვარი შეზღუდვის გამომრიცხველი გარემოება, კერძოდ შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში თუ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე ხდება ფუნქციური ზონის ცვლილება ან/და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში არსებული ფუნქციური ზონის ხარვეზის (მათ შორის სატრანსპორტო ზონის) და სხვა უზუსტობის შესწორება.

ეკა ცეცხლაძემ წარმოადგინა, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაზე განსახორციელებელი ფუნქციური ზონის ცვლილების 2 წინადადება, კერძოდ:

1. ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა N143 (საკადასტრო კოდი: N01.11.01.006.025, ნაკვეთი N6/25) და ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა N143 (ნაკვეთი N6/26) / ქალაქი თბილისი, ანდრონიკაშვილის ქუჩა N143/ქალაქი თბილისის ანდრონიკაშვილის ქუჩა N143 (ნაკვეთი N6/23) / ქალაქი თბილისი, ბარისახოს ქუჩასა და გარშემოსავლელ გზას შორის (საკადასტრო კოდი: 01.11.01.006.091) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 3,203 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. არსებული მდომარეობით განმცხადებლის დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთები და მის მიმდებარედ

არსებული მიწის ნაკვეთები განვითარებულია სამრეწველო ზონა 1-ის შესაბამისად, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსაგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1), ხოლო რაც შეეხება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა დაინტერესებულ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. ***ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა N143 (საკადასტრო კოდი: N01.11.01.006.025, ნაკვეთი N6/25) და ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა N143 (ნაკვეთი N6/26) / ქალაქი თბილისი, ანდრონიკაშვილის ქუჩა N143/ქალაქი თბილისის ანდრონიკაშვილის ქუჩა N143 (ნაკვეთი N6/23) / ქალაქი თბილისი, ბარისახოს ქუჩასა და გარშემოსავლელ გზას შორის (საკადასტრო კოდი: 01.11.01.006.091) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 3,203 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დასაზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.***

2. ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა, N 61 / ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) ნაწილზე (ფართობი: 1005 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სატრასპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქ. N61, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022 ფართობი: 15254კვ.მ) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრაფორმატო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N212 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ***დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N212 განკარგულების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა, N 61 / ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) ნაწილზე (ფართობი: 1005 კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სატრასპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.***

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით (#12-031822976-03)

საკითხი წარმოადგინა არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა მირანდა ბერძენიშვილმა. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ.

კერძოდ, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 11/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010240010.05.001.018929) განხორციელებული ცვლილების შედეგადსაქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელწოდებად განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების ასახვას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი,

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი. თუ აქტი კანონქვემდებარეა, პრეამბულაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი. ვინაიდან, დაუშვებელია ნორმატიული აქტის გამოცემის საფუძვლად მიეთითოს ინდივიდუალური აქტი ან/და ხელშეკრულებაზე მოაღნიშნული პროექტი ითვალისწინებს„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების პრეამბულიდან ერთ-ერთისაფუძვლის, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, ამოღებას და აღნიშნულის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე